



ციფრული რევოლუცია და მისი შედეგები

ციფრული რევოლუცია და მისი შედეგები

ავტორი: მარიამ ნობაძე

ციფრული რევოლუცია წინა საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და პირველი ციფრული მონაცემთა გადაცემის მოწყობილობებიდან, დღემდე განვითარების უმნიშვნელოვანესი გზა განვლო და შეცალა სოციუმის დღის წესრიგი. ვინაიდან გაციფრულების ტენდენცია დღესაც გრძელდება და, ალბათ, ყველაზე ძლიერ ფორმებს ახლა იძენს, საინტერესოა, რა პროგნოზები და გათვლები არსებობს ციფრული სამყაროს შესახებ.

ციფრული ტრანსფორმაცია დღეს უკვე მეტა ტრენდია მსოფლიოში, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციუმის განვითარებაზე. ბოლო რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში იყო რამდენიმე გლობალური მეტა ტენდენცია, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანეს. ასეთები იყო მე-17 საუკუნიდან ლიბერალიზმის გავრცელების ტენდენცია, ამის შემდეგ გლობალიზაციის ასევე ურბანიზაციის ტენდენციები, რომელთაც შეცვალეს კაცობრიობის დღის წესრიგი.

არანაკლებ ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა ციფრული რევოლუციაც, რომელმაც კაცობრიობა არსებობის სრულიად სხვა სიბრტყეში გადაიყვანა. პირველ რიგში კომუნიკაციის საშუალებების გავრცელებამ ბევრად გააადვილა და შეცვალა ადამიანთა კომუნიკაციის მანამდე არსებული სახე.

ციფრული პროდუქტების სწრაფმა ზრდამ ეკონომიკურ ზრდაზეც იქონია გავლენა. თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას რომ ერთი მეორითაა გამოწვეული, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მაღალია ციფრული ტრანსფორმაციის დონეც, მთავარი ინდიკატორი აქ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სამეცნიერო და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარების მაღალი დონე და ინფორმაციის ფართო წვდომაა, რაც ზრდის ეკონომიკას და მეორე მხრივ, ეკონომიკური დოვლათი ხელს უწყობს ციფრული პროდუქტების მსწრაფლ გავრცელებას და განვითარებას.

Statista Research Department-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ვეცნობით, რომ 2018 წელს ციფრულად გარდაქმნილმა საწარმოებმა გლობალურ ნომინალურ მშპ-ში შეადგინა 13,5 ტრილიონი აშშ დოლარი; 2023 წელს პროგნოზით, ისინი შეადგენენ 53,3 ტრილიონ აშშ დოლარს, რაც მთლიანი ნომინალური მშპ-ს ნახევარზე მეტია. ეს მიაწინებს, რომ გლობალურ ეკონომიკაში ციფრული წარმოების პროდუქტების დონე დღითიდღე იზრდება.

გაციფრულების პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა პანდემიის პერიოდში, დისტანციურ მუშაობაზე უეცარი მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობა აისახა ორგანიზაციების საქმიანობაზე შექმნათ ან გამოეყენებინათ უკვე არსებული ციფრული პროდუქტები.

Mckinsley&Company-ს მიმოხილვაში ახსნილია, რომ ზრდის სტიმულირება, შემოსავლების ზრდა და ინოვაციების გაუმჯობესება, დიჯიტალიზაციის დამატებითი სარგებელია. მიმოხილვაში ნახსენებია, რომ კომპანიები რომლებიც ციფრულ პროდუქტებს ნერგავენ სამჭერ აქტარებენ თავიანთ ბიზნეს გეგმებით გათვალისწინებულ მოგებას.

Pew Research Center-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ვკითხულობთ რომ, გაციფრულების მზარდმა ტენდენციამ შექმნა ახალი სამუშაო ადგილები, გააადვილა კომუნიკაცია, და ცხოვრების სხვა ასპექტები. კვლევაში, ასევე, საუბარია, მის უარყოფით მხარეებზე, სადაც ძირითადად მომხმარებლები ასახელებენ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების ზრდას და უსაფრთხოების საკითხის, თუმცა მიუხედავად ამისა, ციფრულ ტექნოლოგიებს მომხმარებლების მზარდი რიცხვი ჰყავს.

ციფრული ტექნოლოგიების დადებითი მხარეები	ციფრული ტექნოლოგიების უარყოფითი მხარეები
კომუნიკაციის სიჩქარე	მონაცემთა უსაფრთხოების საკითხი
ინფორმაციაზე ფართო ხელმისაწვდომობა	ციფრული ტექნოლოგიის მიმართ დამოკიდებულების ზრდა
პროდუქტიულობის ზრდა დროის შემცირების ხარჯზე	კლავიატი და საავტორო უფლების საკითხი
ბიზნეს შესაძლებლობების ზრდა	სამუშაო შესაძლებლობების შემცირება ავტომატიზაციის ხარჯზე
ახალი სამუშაო ადგილები	ციფრული მდლით მანიპულირება
სწავლის შესაძლებლობების ზრდა	სოციალური გაუცხოება
ტრანსპორტირების და გადაადგილების გაადვილება	გარემოზე ნეგატიური გავლენა

ამ მზარდ ტრენდს მიჰყვებიან სოციალური ქსელების მომხმარებლებიც. ფეისბუქის ინფორმაციით, მომხმარებლების 56% ურჩევნია მყისიერი შეტყობინების გაგზავნა სხვა ტიპის კომუნიკაციას.

სწორედ ფეისბუქის შემქმნელმა მარკ ცუკერბერგმა ჯერ კიდევ 2004 წელს გამოიყენა ციფრული პროდუქტების შესაძლებლობები და შექმნა ინოვაციური პროდუქტი, 17 წლის შემდეგ მან გაზარდა შესაძლებლობები და 28 ოქტომბერს წარადგინა გეგმა რომლის მიხედვითაც სრულიად ახალი ციფრული განზომილების შექმნა დააანონსა. პირველ რიგში, მან ორგანიზაციის რებრენდინგი მოახდინა და მას მეტა (Meta) უწოდა, ხოლო ახალ რეალობას მეტავერსი (Metaverse) დაერქმევა, მისივე თქმით, იგი სრულიად ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს მომხმარებლებს. მისი პროგრამული ფუნქციები 2022 წელს ამოქმედდება, პირველ ეტაპზე მომხმარებლებს შეეძლება შექმნან მეტავერსული ავატარები, რომლითაც ისინი ვირტუალურ შეხვედრებზე დაესწრებიან და ვირტუალურ საოფისე სივრცეებში ნავიგაციას შეძლებენ.

უფრო კონკრეტულად, მეტავერსი ესაა ახალი ვირტუალური სამყარო, სადაც მომხმარებლები შეძლებენ, VR ტექნოლოგიის გამოყენებით 3D-ში დაამყარონ კომუნიკაცია, იმუშაონ, ივაჭრონ, გაერთონ, ითამაშონ, მოკლედ, გააკეთონ ყველაფერი ის, რასაც აქამდე ინტერნეტის მეშვეობით, ძირითადად, მხოლოდ 2 განზომილებაში აკეთებდნენ.

მათთვის, ვისაც ვიდეო თამაშები უყვარს, ეს ერთი შეხედვით, თითქოს დიდი სიახლე არაა, ვინაიდან VR ჩაფხუტის საშუალებით, ისინი აქამდეც ახერხებდნენ 3 განზომილებაში ყოფნას, თუმცა მეტავერსი ეს მხოლოდ სათამაშო სივრცე არაა. ამ ახალ სივრცეში, მომხმარებლებს შეეძლება შექმნან, იყიდონ და გაყიდონ საქონელი. თითოეულ მომხმარებელს ეყოლება თავისი ავატარი, რომელიც მისი ვირტუალური იდენტობაა, თქვენ შეგეძლება ივაჭროთ ამავე სივრცეში და საღამოს მეგობართან ერთად წახვიდეთ კონცერტზე ამავე ტანსაცმლით.

ამ ახალ ვირტუალურ სამყაროს აქვს გამოწვევებიც, მაგალითად იდენტობის საკითხი - ის, თუ როგორ მოხდება მომხმარებლის იდენტიფიცირება მეტავერსში, მეორეა ისევ უსაფრთხოების საკითხი, როგორ იქნება გამოყენებული ჩვენი მონაცემები, ამას ბოლოს მოსდევს სამართლებრივი საკითხები, არის თუ არა ამ ახალ სივრცეში ვირტუალური იურისდიქცია, თუ უბრალოდ იგი თავისუფალ ქმედებაზეა დამყარებული.

ამ და სხვა მრავალ კითხვას, რომელიც ამ თემის ირგვლივ ტრიალებს, პასუხი გაცემა მაშინ, როდესაც ჩვენ ამ ახალ ვირტუალურ სამყაროში შევაბიჭებთ.

ციფრული რეგულაციის მხოლოდ 70 წლიანმა გზამ არსებობის ახალი სივრცე შექმნა, კიდევ უფრო საინტერესოა თუ საით მიდის ეს გზა და როგორ შეიცვლება ადამიანთა დღის წესრიგი.

¹PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული

www.pmo-bc.com

(+995) 511 16 33 07

რაფიელ ერისთავის ქ.16

თბილისი, 0179, საქართველო



განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

¹ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com